

თავი 20 „მომეცი შენი წარსული ან მომავალი!“

მერია ქალაქის მთავარ მოედანზე მდებარეობდა. ჯონათანმა იფიქრა, რომ გზას შეიმოკლებდა ვიწრო ქუჩის გავლით, რომელიც სავსე იყო ყუთებით და ორივე მხარეს უამრავი ქალაქი ეყარა, ნაბიჯს აუჩქარა, რათა თავიდან მოეშორებინა ის უსიამოვნო გრძობა, რომელიც ნათელი და ხმაურიანი ქუჩიდან გადახვევის შემდეგ გაუჩნდა.

უეცრად ვიდაცამ ყელზე ხელი მოუჭირა და გვერდში პისტოლეტი მიაბჯინა.

– მომეცი შენი წარსული ან მომავალი, – მძვინვარედ დასჭექა ყაჩაღმა.

– რაა? – თქვა აკანკალებულმა ჯონათანმა, – რას გულისხმობთ?

– რაც გაიგე, ან ფული, ან სული, – გაიმეორა ყაჩაღმა და უფრო ძლიერად მიაწვა პისტოლეტით. ჯონათანს მეტი ახსნა-განმარტება აღარ დასჭირვებია. ჯიბიდან მძიმე შრომით გამომუშავებული ფული ამოიღო.

– სულ ეს მაქვს და ამ თანხის ნახევარი გადასახადებში მჭირდება, – მორიდებით თქვა ჯონათანმა და თან იმ პურის ნატრების დამალვას ცდილობდა, ბებიამ რომ გამოატანა, – გთხოვთ, თანხის ნახევარი დამიტოვოთ.

ყაჩაღმა გაათავისუფლა ჯონათანი. გოგონა ყელსახვევის მიღმა ძლივს ფარავდა სახეს. დაბალი ბოხი ხმით გაიცინა და ჯონათანს უთხრა:

– თუ ფულს მაინც სხვას აძლევ, შენთვის უკეთესი იქნება, თუ მე მომცემ და არა გადასახადების ამკრეფს.

– რატომ? – იკითხა ჯონათანმა და თან გოგონას ფულის აღებაში გაწაფულ ხელებში თანხა ჩაუდო.

– თუ ფულს მომცემ, ჩემი გზით წავალ და თავს დაგანებებ, – უთხრა ყაჩაღმა და თან ქალაქის ფულს წელზე მიმაგრებულ ტყავის საფულეში იტენიდა. შემდეგ დასძინა: – გადასახადების ამკრეფები კი სიცოცხლის ბოლომდე არ მოგცილდებიან და წარსულში შენი ნამოდგაწარის ნაყოფს – ფულს – დაგცანცლავენ, მერე კი ამას შენი მომავლის გასაკონტროლებლად გამოიყენებენ. ისინი ერთ წელიწადში გაფლანგავენ იმას, რასაც ერთად აღებული ყველა ყაჩაღი მთელი სიცოცხლის მანძილზე მოიპოვებდა.

ჯონათანი დაიბნა:

– კი მაგრამ, ლორდთა საბჭო ამ გადასახადებს მერე ხომ კარგ საქმეს მოახმარს?

– კი, რა თქმა უნდა, – ცივად თქვა გოგონამ, – ზოგიერთი ადამიანი მდიდრდება, მაგრამ თუ გადასახადების გადახდა ასეთი კარგია, რატომ არ გვარწმუნებენ გადასახადების ამკრეფები ამ პროცედურის დადებით მხარეებში და რატომ არ გვაძლევენ უფლებას, რომ ჩვენი სურვილით გადავიხადოთ?

ჯონათანი დააფიქრა ამ იდეამ.

– იქნებ დარწმუნებას დიდი დრო და ენერჯია სჭირდება?

– მართალია, – ღიმილით უპასუხა ყაჩაღმა, – ეს ჩემი პრობლემაა. სწორედ ამიტომ იარაღის გამოყენებით ახლა დროსაც ვზოგავთ და ენერჯიასაც!

გოგონამ ერთი ხელით შემოატრიალა ჯონათანი და მაჯებზე წვრილი ბაწარი შემოუჭირა. შემდეგ მიწაზე დააგდო და პირში მისივე ცხვირსახოცი ჩასჩარა.

– ესეც ასე. ვწუხვარ, მაგრამ გადასახადების ამკრეფებს მოცდა მოუწევთ.

ჯონათანი მთელი ტანით ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ ამაოდ. გოგონა გვერდით ჩამოუჯდა.

– იცი, რა? – უთხრა ყაჩაღმა, როცა ფულის გადათვლას მორჩა, – პოლიტიკა რაღაც განწმენდის რიტუალის მსგავსი პროცესია. ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ შური, ტყუილი, ქურდობა ან მკვლელობა უსამართლობაა. მაგრამ ყველაფერ ამას, მათ ნაცვლად, პოლიტიკოსები აკეთებენ. პოლიტიკაში ყველაფერი

ნებადართულია და ყველა, მათ შორის საუკეთესოებიც, იტყუება, იპარავს და ხანდახან კლავს კიდევ. ჩვენ კი, შეიძლება, ამაზე თვალი დაგხუჭოთ.

ჯონათანმა თავი მიატრიალა და რაღაცის თქმას შეეცადა. ყაჩაღს გაეცინა და უთხრა:

– ყვირილს ხომ არ აპირებ?

მან თავი ძლიერად გაიქნია და ნაღვლიანი თვალებით შეხედა გოგონას, რამაც ყაჩაღი გაამხიარულა.

– კარგი, მოდი გასაგებად თქვი, რას ბურტყუნებ, ოღონდ ძალიან ხმამაღლა არა, – გააფრთხილა გოგონამ და პისტოლეტი ზედ ცხვირთან მიადო, – თორემ ეს შეიძლება სანანებელი გაგიხდეს!

იგი დაიხარა და სწრაფი მოძრაობით ცხვირსახოცი პირიდან ამოაძრო. ჯონათანი აკანკალებული ხმით შეეცადა შეპასუხებოდა ყაჩაღს:

– კი მაგრამ, ქურდობა ხომ უკანონოა!

– ალბათ. მაგრამ მთავარი მისი მასშტაბებია, ქურდობა იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ არავინ დაეჭვდეს მის კანონიერებაში.

– მოიპარო ბევრი და ვერავინ მიხვდება, რომ ეს უკანონოა?

– რა თქმა უნდა. ბავშვებს ასწავლიან, რომ ტყუილი ცუდია. თუმცა, სინამდვილეში, ქუჩებს დიდი მატყუარების სახელებს არქმევენ. თუ ცოტას მოიპარავ, უთუოდ ადამიანების გაღიაში გამოგამწყვდევენ. მაგრამ, თუ შენი მოპარულის რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით მართლა შთამბეჭდავია, მაშინ შენობებზე შენს სახელს ამოტვიფრავენ. იგივეა მკვლელობის შემთხვევაშიც.

– მკვლელობის შემთხვევაშიც? – აღმოხდა ჯონათანს.

– მთვარიდან ჩამოსული ხომ არ ხარ შემთხვევით? ერთი-ორი კაცის მკვლელობისათვის ხალხს გისოსებს მიღმა სვამენ, შესაძლოა სიკვდილითაც კი დასაჯონ. მაგრამ რამდენიმე ათასის მოკვლა უკვე გმირი დამპყრობლის სახელს განიჭებს. სიმღერებს გიძღვნიან, ძეგლებს გიღვამენ, დღესასწაულებს გიწყობენ. ბავშვებს ასწავლიან, როგორ ადიდონ და განასახიერონ დიდი მკვლელები. თუ მხოლოდ რამდენიმე კაცის მოკვლით შემოიფარგლები, ზურგს შეგაქცევენ და ყველა დაგივიწყებს. დიდი მკვლელის შესახებ კი სკოლის სახელმძღვანელოებში ლეგენდებს დაწერენ.

– ყაჩაღობის უძველესი ისტორია, რომელიც მე შემიძლია გაგიხსენო, რობინ კუდის ამბავია, – თქვა ჯონათანმა. – ის გმირი იყო, ვინაიდან მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა.

– მაინც ვის ძარცვავდა? – იკითხა გოგონამ.

– ნოტინგემის შერიფს და მის მეგობრებს. შერიფი და პრინცი ჯონი ძალიან დიდ გადასახადებს აწესებდნენ, რასაც ხალხი სილატაკემდე მიჰყავდა. ხელისუფლება მდიდრებისგანაც და ღარიბებისგანაც თანაბარ თანხას იღებდა და რობინი დაზარალებული ხალხისთვის ნაძარცვის დაბრუნებას ცდილობდა.

ყაჩაღს გაეცინა:

– მაშინ რობინი ყაჩაღი არ ყოფილა. ქურდის დაყაჩაღება ვის გაუგია? – ცოტა ხნით დაფიქრდა და განაგრძო:

– მშვენიერი იდეა დამებადა. მგონი ტვიდს ვესტუმრები.

ყაჩაღმა ჯონათანს პირი ისევ დაუხშო, ამჯერად უკვე ძალიან მჭიდროდ და ვიწრო ქუჩაში გაუჩინარდა.

ჯონათანი უმწეოდ იწვა. იგი იმ ახალგაზრდა პოლიციელზე ფიქრობდა, ერთი დღის წინ რომ შეხვდა. სად იყო ახლა ის ყმაწვილი, როცა ასე სჭირდებოდა? ნეტავ საიდან ჰქონდა ყაჩაღს იარაღი?

ჯონათანს იმის გაფიქრებაც კი აღიზიანებდა, რომ ფულის საშოვნელად კვლავ შოუზე დაბრუნება მოუწევდა. სიბრაზისგან უმწეოდ იქნევდა ფეხებს. მოგვიანებით, ერთი თოკი ოდნავ მოეშვა ხელზე და შვეებით ამოისუნთქა. შემდეგ გაიფიქრა:

– აქამდე არასოდეს მომსვლია აზრად, რა კარგი ყოფილა, როდესაც ხელები გახსნილი გაქვს.